

ხუდონ-ჰესის პროექტის შესახებ დადებული ხელშეკრულების გაუქმების აუცილებლობის თაობაზე

19 თებერვალი, 2015

2011 წლის 28 აპრილს საქართველოს მთავრობას, Trans Electrica Limited-ს, Trans Electrica Limited (Georgia)-ს, შპს „ენერგოტრანს“ და შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ (ესკო) შორის დაიდო ხელშეკრულება ზემო სვანეთში (მესტიის მუნიციპალიტეტი) 702 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე (შემდგომში - ხელშეკრულება). პროექტი ითვალისწინებს 200.5 მეტრი სიმაღლის თაღოვანი კაშხლისა და 528 ჰექტარი ფართობის წყალსაცავის (მოცულობა 364.5 მლნ.კუბ.მ) მოწყობას. ამ სახით პროექტის განხორციელება დაკავშირებულია რამოდენიმე სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური თვალსაზრისით მწვავე საკითხთან¹; საქართველო პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს, აღნიშნული შეთანხმებიდან გამომდინარე, არ მიიღებს; თუმცა, საქართველოს მთავრობას აღებული აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები და არსებითი რისკები (მათ შორის, ფინანსური), რომლებიც არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი ადეკვატური გარანტიებით; ამკარაა, ასევე, კორუფციული რისკების არსებობაც.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას, ბლოკმა „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ საარჩევნო პროგრამაში აიღო ვალდებულება, რომ ამ პოლიტიკური გაერთიანების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, საქართველოში აიკრძალებოდა დიდი ჰესების მშენებლობა; დაპირება არაერთხელ გაისმა, ასევე, წინასაარჩევნო შეხვედრებისას და მედიაში გამოსვლებისას. მიუხედავად დადებული პირობისა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ არც დაწყებული პროექტები შეაჩერა და არც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ინიცირებული სხვა პროექტების გაგრძელებაზე თქვა უარი.

დღემდე, პროექტის ინვესტორმა კომპანიამ არაერთხელ დაარღვია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები; ამდენად, არსებობს ხელშეკრულების გაუქმების არაერთი საფუძველი; ასევე, მომავალში, საქართველოს მთავრობამ უარი უნდა თქვას ამავე კომპანიასთან ახალი შეთანხმების დადებაზე ან არსებულის განახლებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

- პროექტის განსახორციელებლად მშენებლობის ნებართვის მოპოვების პირობის დარღვევა

¹ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, წყლის ქვეშ აღმოჩნდება რამდენიმე ასეული ჰექტარი, მათ შორის, ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, ტყის მასივები, სასაფლაოები, ეკლესია, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები. გაძლიერდება ბუნებრივი ჰაბიტატების, ტყეებისა და მდინარის ბინადარ სახეობათა დაკარგვის პროცესი, მათ შორის, წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების. იძულებით გადასახლებას დაექვემდებარება 27 სოფლის 525 ოჯახი (1500 - 2000 ადამიანი).

კომპანიის მიერ მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად ხელშეკრულებით განსაზღვრული თარიღი, ენერგეტიკის სამინისტროს ჩარევის შედეგად, დღემდე უკვე ორჯერ შეიცვალა. თავდაპირველად, ხელშეკრულებით (28.04.2011), კომპანიას მშენებლობა უნდა დაეწყო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 12 თვეში, ანუ 2012 წლის 28 აპრილს; თუმცა, რადგან კომპანიამ პირობა ვერ შეასრულა, 2012 წლის 23 მაისს ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებით, ნებართვის მოპოვების ვადა 2012 წლის 1 სექტემბრამდე გადაიწია. ნებართვის მოპოვების საბოლოო თარიღი კიდევ ერთხელ გადავადდა ხელშეკრულებაში 2013 წლის 28 მაისს შესული ცვლილებებით. ამჯერად კომპანია ვალდებული იყო მშენებლობის ნებართვა 2014 წლის 1 მარტამდე აეღო². ამ ვადის ამოწურვამდეც, კომპანიამ არათუ ვერ მოიპოვა მშენებლობის ნებართვა, არამედ მშენებლობის ნებართვის ასაღებად კანონმდებლობით დადგენილი საწყისი ეტაპებიც კი ვერ გაიარა.

სამწუხაროდ, დღემდე უცნობია, უხდის, თუ არა კომპანია სახელმწიფოს, ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს; როგორც აღმოჩნდა, ენერგეტიკის სამინისტრო ამ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობს³, ხოლო ფინანსთა სამინისტრო - პასუხს არ იძლევა.

- **გარემოზე ზემოქმედების შეფასების და საჯარო კონსულტაციების ჩატარებასთან დაკავშირებული პირობის დარღვევა**

დღემდე კომპანიამ ვერ მოახერხა დაგეგმილი პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ხარისხიანი კვლევის ჩატარება, გზშ ანგარიშის მომზადება და შესაბამისი უწყებებისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის წარდგენა. 2013 წლის ივლისში, ე.წ. წინასწარი განხილვის ეტაპზე, Trans Electrica Limited-მა გამოაქვეყნა გზშ ანგარიში, რომელზეც ათეულობით შენიშვნა გამოითქვა. მხოლოდ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გზშ ანგარიშის ამ „წინასწარ ვერსიაზე“ 100-ზე მეტი ფუნდამენტური ხასიათის შენიშვნა წარუდგინა კომპანიას. ამ დროიდან მოყოლებული, კომპანიის წარმომადგენლები ორ-სამ თვეში ერთხელ მედიით აცხადებენ, რომ შესწორებული და დახვეწილი გზშ ანგარიში „ორ კვირაში“ გამოქვეყნდება, მაგრამ ეს დრო დღემდე არ დამდგარა; კომპანიას დღემდე არ გამოუქვეყნებია პროექტის გადამუშავებული გზშ ანგარიში⁴.

ხელშეკრულების დადებიდან დღემდე, კომპანიამ ვერ მოახერხა, კანონის მოთხოვნების დაცვით, ერთი საჯარო განხილვის მოწყობაც კი. უფრო მეტიც, მან არათუ ვერ შეძლო მოსახლეობასთან კონსულტაციების ჩატარება, პირიქით, ადგილობრივ მოსახლეობასა და სახელმწიფოს შორის კონფლიქტის მაპროვოცირებელიც კი გახდა. კომპანიამ მთელი გზშ პროცესი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით წარმართა: ენერგეტიკის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები აქტიურად ერეოდნენ შეფასების/კონსულტაციების ჩატარების პროცესში; საჯარო განხილვებსა და მედიის საშუალებით, ისინი კომპანიის ნაცვლად სცემდნენ პასუხს საზოგადოების კითხვებს და კომპანიის სახელით გასცემდნენ დაპირებებს.

- **განსახლების გეგმის არარსებობა**

კომპანიას დღემდე არ გამოუქვეყნებია განსახლების გეგმა ან განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი; ამით მან დაარღვია ხელშეკრულების კიდევ ერთი პირობა მსოფლიო ბანკის 4.12 პოლიტიკასთან

² იხ. ხუდონ-ჰესის პროექტის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებაში 2013 წლის 28 მაისს შესული ცვლილებები <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Tsvileba%2028052013%2046%20geo.pdf> Paragraph 1.4 (a);

³ ელექტრონული მიმოწერა ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან; 29 ოქტომბერი, 2014 წ.

⁴ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ს (რომელმაც Trans Electrica Limited-ის შეკვეთით მოამზადა გზშ ანგარიშის საწყისი ვერსია), აღარ უმუშავია 2013 წლის ივლისში კომპანიისთვის წარდგენილი შენიშვნების გამოსწორებაზე.

შესაბამისობის შესახებ⁵, ხელშეკრულების ამ პირობის დარღვევა ასევე ისიც, რომ კომპანიამ არ შეისწავლა პროექტის ყველა შესაძლო ალტერნატივა, იძულებითი განსახლების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანის თვალსაზრისით, რაც მსოფლიო ბანკის 4.12 პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

- **კომპანიისთვის 1 აშშ დოლარად გადაცემული მიწისა და ქონების მესაკუთრებისთვის უკან დაუბრუნებლობა**

როგორც ცნობილია, ხელშეკრულებით და პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით, კომპანიას სიმბოლურ ფასად, 1 აშშ დოლარად, დაახლოებით 1500 ჰექტარი ტერიტორია და 200 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ქონება გადაეცა⁶. კომპანიისა და ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელების არაერთი ზეპირი განცხადების მიუხედავად, კომპანიას დღემდე არ დაუბრუნებია ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი უძრავი ქონება. ყურადსაღებია, რომ ადგილობრივთა საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ მიწებზე საკუთრების უფლების მოპოვება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გარეშე, ასევე წარმოადგენს მსოფლიო ბანკის 4.12 პოლიტიკის ძირითადი პრინციპების და შესაბამისად, ხელშეკრულების დარღვევას.

- **პროექტის განმახორციელების ბუნდოვანი წარმომავლობა და კომპეტენცია**

ბუნდოვანია კომპანია Trans Electrica Limited-ის⁷ წარმომავლობა. როგორც ცნობილია, ხუდონ-ჰესის პროექტის განსახორციელებლად, ჯერ კიდევ 2007 წელს სახელმწიფოსა და ბელიზში (ოფშორული ზონა) რეგისტრირებულ კომპანია Continental Energy LTD-ს⁸ შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. 2010 წელს, Continental Energy LTD-მ მიმართა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს თხოვნით, რომ მემორანდუმით გათვალისწინებული მისი უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები გადაეცემოდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ კომპანია Trans Electrica Limited-ს. საქართველოს მთავრობამ, 2010 წლის 24 აპრილის #472 განკარგულებით, დააკმაყოფილა Continental Energy LTD-ს თხოვნა, იმ პირობით, რომ Trans Electrica Limited-ი სრულად და უცვლელად იკისრებდა მემორანდუმით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობას.

მოგვიანებით, Trans Electrica Limited-მა საჯარო რეესტრში წარადგინა დოკუმენტაცია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია Continental Energy International Limited-ის შესახებ, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ 2010 წლის 14 იანვარს ვირჯინიის კუნძულებზე (და არა ბელიზში) რეგისტრირებულმა კომპანია Continental Energy International Limited-მა შეიცვალა სახელი და გახდა Trans Electrica Limited-ი; ყურადსაღებია, რომ კომპანიას არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტაცია ბელიზში რეგისტრირებული Continental Energy LTD-ის შესახებ, რომლის უფლებამონაცვლევ გახდა, რეალურად, Trans Electrica Limited-ი ხუდონ-ჰესის პროექტის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ამრიგად, გაუგებარი რჩება, რა სამართლებრივი კავშირია Trans Electrica Limited-სა და ბელიზში რეგისტრირებულ Continental Energy LTD-ს შორის (ასევე, გადამოწმეს, თუ არა შესაბამისმა სამთავრობო დაწესებულებებმა ეს გარემოებები უფლებამონაცვლეობაზე გადაწყვეტილების მიღებისას).

კომპანიაზე საუბრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, ასევე, ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე. მწვანე ალტერნატივას მიერ მოპოვებული ინფორმაციით⁹, მართალია, კომპანია Trans Electrica Limited-ი რეგისტრირებულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, მაგრამ მას არ გაჩნია ოფისი ადგილზე და არ ფლობს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ფინანსური მომსახურების ლიცენზიას. ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ფინანსური მომსახურების კომისიის წარმომადგენლის განმარტებით, ამ ლიცენზიის

⁵ იხ. <http://siteresources.worldbank.org/INTFORESTS/Resources/OP412.pdf>

⁶ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 დეკემბრის #19/12/01 ბრძანებულება

⁷ Legal address: P.O. Box 958, Pasea Estate, Road Town, Tortola, BVI No. 1479874

⁸ Legal address: #35 New Road, Belize City;

⁹ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ფინანსური მომსახურების კომისიის 2014 წლის 18 მარტის სავსუხო წერილი მწვანე ალტერნატივას Trans Electrica Limited-ს თაობაზე

ფლობა აუცილებელი წინაპირობაა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიების მიერ საქმიანობის (საინვესტიციო, სადაზღვევო, საბანკო) წარმოებისთვის, როგორც თავად ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

რაც შეეხება კომპანიის კომპეტენციას ენერგეტიკული, კერძოდ კი, ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელების სფეროში, აქაც ვითარება არასახარბიელოა. მწვანე ალტერნატივამ თავის კვლევებში, თუ საჯარო გამოსვლებში არაერთხელ აღნიშნა, რომ კომპანიას არ აქვს ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელების გამოცდილება¹⁰. მწვანე ალტერნატივას განცხადებების საპასუხოდ, Trans Electrica Limited-ის წარმომადგენლები დღემდე ჯიუტად ამტკიცებენ, რომ კომპანიას სფეროში მოღვაწეობის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს, თუმცა, ამის დამადასტურებელ ინფორმაციას დღემდე არ აქვეყნებენ.

- **ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული ტარიფი ელექტროენერჯის შესყიდვაზე**

ძალზე პრობლემურია ხელშეკრულებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება ხუდონ-ჰესის გამომუშავებული ელექტროენერჯის ზამთრის ოთხი თვის განმავლობაში აუცილებელი შესყიდვის თაობაზე (5.84 აშშ ცენტი 1 კვტ/სთ). ეს პირობა ეწინააღმდეგება ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნებს, რომლის შესრულების ვალდებულება (ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის პაკეტი) საქართველომ უკვე აიღო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით. ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობა გულისხმობს საბაზრო მექანიზმების, გამჭვირვალობისა და შესაბამისი საკანონმდებლო გარემოს დამყარებას, რაც თავის მხრივ, ნიშნავს ბაზრის დემონოპოლიზაციას, ჯანსაღ კონკურენციაზე დაფუძნებულ და გამჭვირვალე საბაზრო პრინციპების დამკვიდრებას და კორუფციის შესაძლებლობების აღმოფხვრას.

ზემოთ მოყვანილი გარემოებების გარდა, არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომელთა გამო, აუცილებელია ხუდონ-ჰესის პროექტის შესახებ დადებული ხელშეკრულების გაუქმება. კერძოდ:

- **პროექტის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზის არარსებობა**

დღემდე არ არსებობს პროექტის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა პროექტის ავკარგიანობაზე - ქვეყნისთვის პროექტის განხორციელების საჭიროებაზე მსჯელობა. კომპანიის მიერ 2013 წელს გამოქვეყნებულ გზმ ანგარიშის ე.წ. წინასწარ ვერსიაში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო მხოლოდ პროექტის კომპანიისთვის და არა ქვეყნისთვის სარგებლიანობაზე; ამასთან, ანგარიშში არ იყო გათვალისწინებული, მაგალითად, ისეთი დანახარჯები, რომელიც უკავშირდება ადგილობრივ მოსახლეობაზე ზემოქმედებას, გარემოზე ზემოქმედებას და ამ ზემოქმედების შერბილებას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურისთვის მიყენებულ ზიანს და ა.შ.

აღნიშნულ საკითხზე გამახვილდა ყურადღება ნიდერლანდების გარემოსდაცვითი შეფასების კომისიის დასკვნაშიც, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაკვეთით მომზადდა¹¹. კომისიის დასკვნით, პროექტის მასშტაბიდან და მოსალოდნელი სოციალური-ეკონომიკური შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდირებული იყო პროექტის სარგებლისა და დანახარჯების დეტალური ანალიზის ჩატარება, რათა შეფასებულიყო პროექტის ეკონომიკური დანახარჯები და სარგებელი ქვეყნისთვის; კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ამის საშუალებას არ იძლეოდა¹².

¹⁰ „ხუდონ-ჰესის მომავალი მშენებელი-მმართველი-მფლობელი “ტრანსელექტრიკას” იდუმალი აქციონერები“ - <http://goo.gl/ptokQ5> და „ხუდონის ჰიდროელექტროსადგური“ - <http://goo.gl/v35ACs>

¹¹ Commission for Environmental Assessment in the Netherlands, Advisory Review of the Environmental and Social Impact Assessment of the Khudoni Hydropower Project. NCEA OS24 – B017/ISBN 978-90-421-3781-3

¹² „Taking into consideration the scale of the project and its expected social and economic impacts, in addition to a financial analysis of the project’s profitability to the investor, a supplementary extended societal cost-benefit analysis is typically recommended in the international literature and endorsed by international organisations such as the World Bank and the World Commission on Dams to assess the broader economic costs and benefits for the country as a whole (Cernea, 1999; World Commission on Dams, 2000; Brouwer and Pearce, 2005; Namy, 2007)“; http://moe.gov.ge/files/PDF%20%20Eng/News/Angarishi_ENG.pdf Page 35;

ყურადსაღებია ასევე, რომ ხუდონ-ჰესის პროექტის განხორციელების აუცილებლობის შესახებ მაღალი თანამდებობის პირთა (პრემიერ-მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი) განცხადებების მიუხედავად, როგორც აღმოჩნდა, არცერთ სექტორულ სამინისტროს ან/და მათ დაქვემდებარებულ უწყებას, არ შეუსწავლია, რა ზეგავლენას მოახდენს ხუდონ-ჰესის პროექტი ამ სამინისტროების გამგებლობის ქვეშ მოქცეულ სექტორებზე¹³. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მთავრობას დღემდე არ აქვს გაცნობიერებული ამ მსხვილმასშტაბიანი პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ამდენად, უკვე დადებული ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს (რომ არაფერი ვთქვათ ახალი ხელშეკრულების დადებაზე ან არსებულის განახლებაზე).

- **ზეწოლა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებზე, ადგილობრივ მოსახლეობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე**

პროექტი დღემდე მეტად არადემოკრატიულ პირობებში ვითარდება და ამის დასადასტურებლად 2013 წლის სექტემბერში სოფელ ხაიშში საჯარო განხილვის ჩატარების მცდელობის მაგალითის მოყვანაც კი კმარა - კომპანიამ და ენერგეტიკის სამინისტრომ პროექტის საჯარო განხილვის ჩატარება სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მობილიზებით სცადეს.

მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ პროექტის ღია და უპირობო მხარდაჭერა, ასევე ნებართვების გამცემ ორგანოებზე ღია ზეწოლა არასამთავრობო ორგანიზაციათა და საქართველოს სახალხო დამცველის ყურადღების ქვეშაც მოექცა.

ჯერ კიდევ 2013 წლის 15 ოქტომბერს 54 არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა ერთობლივი განცხადება, სადაც მათ მიიჩნიეს, რომ პრემიერ-მინისტრი და ვიცე-პრემიერი პროექტზე გადაწყვეტილების მიღების კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი პროცედურებს უგულვებელყოფდნენ და ზეწოლას ახდენდნენ კომპეტენტურ ორგანოებსა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაზე¹⁴. ამავე საკითხზე გაამახვილა ყურადღება სახალხო დამცველმა 2013 წლის ანგარიშში, სადაც მან შემდეგი დასკვნა გამოიტანა: „მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დადებითი ნებართვა, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები (პრემიერ-მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი) აკეთებენ საჯარო განცხადებებს ხუდონ-ჰესის აშენების გარდაუვალობის შესახებ. აღნიშნული კიდევ უფრო გაუგებარია იმ ფონზე, როცა 2014 წლის 1 მარტის მდგომარეობითაც, ხუდონ-ჰესის მშენებლობის ნებართვის მისაღებად სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მოთხოვნით განცხადებაც კი არ არის შეტანილი. მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება შეიძლება შეფასდეს, როგორც ზეწოლა გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოზე“¹⁵.

- **ხელისუფლების უმოქმედობა პროექტის განხორციელებისთვის სათანადო გარემოს შესაქმნელად**

სამწუხაროდ, განვლილი ორი წლის განმავლობაში, სახელმწიფომ არ გადადგა რაიმე ქმედითი ნაბიჯები კანონმდებლობისა და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, რაც თავის მხრივ, შექმნიდა შესაფერის პირობებს ხუდონ-ჰესის მსგავსი მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელებაზე სწორი, ინფორმირებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითისთვის:

- არ გაუმჯობესდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა;

¹³ საქართველოს ფინანსთა, სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, თავდაცვის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროების პასუხები მწვანე ალტერნატივას 2014 წლის 27 იანვრის წერილებზე;

¹⁴ http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/10/NGO_statement_on_Khudoni_HPP_project_15_October-2013_GEO_1.pdf

¹⁵ იხ. სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: <http://ombudsman.ge/uploads/other/1/1486.pdf>

- არ გადაიდგა ნაბიჯები ისეთი ინსტრუმენტის დასანერგად როგორცაა „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება“ (Strategic Environmental Assessment);
- კვლავ საკანონმდებლო და ინსტიტუციური ვაკუუმი განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი განსახლების რეგულირების სფეროში;
- არ დაინერგა გარემოსა და მოსახლეობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფი ინსტრუმენტები (უფრო სწორად - არ აღდგა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნისას გაუქმებული მექანიზმები);
- არ არსებობს დაგეგმილი პროექტებით გამოწვეული შესაძლო დანახარჯებისა და სარგებლის შეფასების მეთოდიკა; ასეთი ანალიზის ჩატარების საჭიროება არ არის ასახული მოქმედ კანონმდებლობაში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, სავალდებულოდ თვლიან პროექტის განმახორციელებლის მიერ ამგვარი კვლევის ჩატარებას;
- არ გაუმჯობესდა წყლის რესურსების მართვის კანონმდებლობა, მათ შორის, სააუზო მართვაზე გადასვლის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულ სფეროებში კანონმდებლობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობდა ასეთ რთულ, მსხვილმასშტაბიან პროექტებზე ინფორმირებული გადაწყვეტილებებისა და ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყნისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილების გამჭვირვალედ მიღებას; ასევე, მინიმუმამდე დაიყვანდა ინტერესთა კონფლიქტისა და ელიტური კორუფციის შესაძლებლობას. ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ამავდროულად წარმოადგენს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას. ამ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, სახელმწიფომ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი ისეთი მასშტაბური პროექტების განხორციელებაზე, რომლებიც ათასობით ჰექტარი მიწის დატბორვას, ადამიანების გადასახლებას საცხოვრებელი ადგილებიდან და/ან ხელუხლებელი ეკოსისტემების დაზიანებას გულისხმობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოვითხოვთ:

1. საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ გააუქმოს ხელშეკრულება და აღარ გააგრძელოს კომპანია Trans Electrica Limited-თან მოლაპარაკებები ხუდონ-ჰესის პროექტის თაობაზე;
2. საქართველოს პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ გააუქმოს წინამორბედის მიერ გამოცემული ბრძანებულება¹⁶ და სახელმწიფოს დაუბრუნდეს კომპანიისთვის 1 დოლარად გადაცემული ქონება. სამართლიანობის აღდგენის ეს ნაბიჯი საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას დაირეგისტრიროს საკუთარი ქონება;
3. სახელმწიფომ, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვით, დაიწყოს ხუდონ-ჰესის პროექტის განხორციელების აუცილებლობასთან დაკავშირებული საჯარო დისკუსიები;
4. გამოკვლეულ იქნეს ყველა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი და ელიტური კორუფციის მექანიზმი, რათა გამოირიცხოს მათი არსებობის მცირე შესაძლებლობაც კი. სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს, სულ მცირე: სახელმწიფოს მხრიდან ხელშეკრულების გაფორმება კომპანიასთან, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია საქმიანობის ლიცენზია; მაღალი პოლიტიკური თანამდებობების პირების მხრიდან, უფლებამოსილების გადაჭარბების ხარჯზე, კომპანიის ღია და დაუფარავი ლობირების ფაქტები;
5. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ დაუყოვნებლივ შეიმუშაონ და დაამტკიცონ საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს დიდი ჰესებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მდგრადი განვითარებისათვის სათანადო გარემოს შექმნას (იხ. ზევით) და ხელს შეუწყობს, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყნისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას; დაეხმარება

¹⁶ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 დეკემბრის #19/12/01 ბრძანებულება

ადგილობრივ კომპანიებს, მიიღონ დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან; შექმნის გამჭვირვალე საინვესტიციო გარემოს, რაც სტიმულს მისცემს კვალიფიციურ საერთაშორისო კომპანიებს, ჩადონ ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში.

აქვე, მოვუწოდებთ ევროკომისიას, ევროპარლამენტის 2014 წლის 18 დეკემბრის რეზოლუციის შესაბამისად¹⁷, საფუძვლიანი მონიტორინგი გაუწიოს ხუდონ-ჰესის პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულების დადების პროცესს და შეაფასოს ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობა.

¹⁷ European Parliament non-legislative resolution of 18 December 2014 on the draft Council decision on the conclusion, on behalf of the European Union, of the Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part (09827/2014 – C8-0129/2014 – 2014/0086(NLE) – 2014/2816(INI)) ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P8-TA-2014-0110+0+DOC+XML+V0//EN&language=EN>